

შპს „ევროსტილი XXI“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის პერიოდისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4
ზოგადი ინფორმაცია	5
ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
განმარტებითი ცხრილები	10-14



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	31.12.2019	01.01.2019
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1471762	1509027
საინვესტიციო ქონება		
ბიოლოგიური აქტივი		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	0	0
	1471762	1509027
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	209431	26645
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	623640	107157
	39646	21 041
სხვა არამატერიალური აქტივები		
მარაგები	229371	515105
მზა პროდუქცია	31055	2919
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		0
	1133143	672867
მთლიანი აქტივები	2604905	2181894
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	1411175	1411175
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	383748	-301996
	1794923	1109179
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	666234	874814
	666234	1021687
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები		0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	-6562	122971
საგადასახადო ვალდებულებები	164866	92901
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	-14556	-17971
	143748	197 901
მთლიანი ვალდებულებები	2604905	2 181 894



სრული შემოსავლის ანგარიშგება	31.12.2019
ამონაგები	3541662
თვითღირებულება	(1297858)
საერთო მოგება	2243804
სხვა შემოსავლები	270347
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი და მიწოდების დანახარჯები	(1483728)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	11246
საოპერაციო მოგება	1041669
ფინანსური შემოსავალი	
ფინანსური ხარჯი	(66097)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(66097)
მოგება დაბეგვრამდე	975572
მოგების გადასახადი	
პერიოდის მოგება	975572



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2019

ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები

- 1.1 მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები
- 1.2 მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები
- 1.3 გაცემული ხელფასები
- 1.5 ფულადი სახსრების ანგარიშებს შორის გადაადგილება

3964961
(1589297)
(1016780)
0
1358884

წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

- 2.1 ძირითადი საშუალებების შესყიდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურების ანაზღაურება (68123)
- 2.2 ძირითადი საშუალებების გაყიდვა 28812

წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან

(39311)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

- 3.1 მიღებული სესხები
- 3.2 მიღებული დაფინანსება
- 3.3 სესხის ძირითადი თანხის დაფარვა
- 3.4 სესხის პროცენტის დაფარვა

0
0
(254823)
(66097)
(53138)

- 3.5 საკურსო სხვაობა

წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო
ოვერდრაფტის
ზრდა (კლება)

(182786)

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი

26645

ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო

209431

ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი



1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ევროსტილი XXI“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას („კომპანია“)(ს/ნ 206 323 502), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ფაქტობრივი ადგილია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქვემო ალექსეევკა ნაკვეთი №1/71. საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მდგ კარებების და ავეჯის წარმოება.

კომპანიის დირექტორია ანტონი გრიგოლიშვილი.

კომპანიის პარტნიორები/დამფუძნებლები წარმოდგენილნი არიან შემდეგნაირად:

- ანტონი გრიგოლიშვილი (01025011553) - 16.67% ;
- პაატა დუშუაშვილი (35001000172) - 16.67%;
- მალხაზ ტყემალაძე (01023011701) - 16.67%;
- ნაზი ლიპარტელიანი (01022005043) - 16.67%;
- ვასილ აფციაური (35001080181) - 33.33%.



2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს. საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა კი ძირითადად ემთხვევა მყიდველზე იურიდიული ან ქონებრივი უფლებების გადაცემას.

მომსახურების ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- (ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- (ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში
- (გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- (დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.;

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის მიერ ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მსს ფასს-ის (29-ე განყიფილება) მიზნებისათვის მოგების გადასახადი მოიცავს ყველა ადგილობრივ თუ უცხოურ გადასახადს, რომლებიც გამოითვლება დასაბეგრი მოგების საფუძველზე.

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებისა და გადავადებული გადასახადის ჯამს.

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში მიღებულ დასაბეგრ მოგებას. საბალანსო ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც აქტივი ან ვალდებულება აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.



აქტივის ან ვალდებულების საგადასახადო ბაზა წარმოადგენს იმ თანხას, რომელიც მოცემულ აქტივს ან ვალდებულებას აქვს მიკუთვნებული საგადასახადო მიზნებისათვის.

გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით.

საგადასახადო კოდექსში 2016 წელს შესული ცვლილებით, 2017 წლის იანვრიდან, ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, რომლის თანახმად საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება. განაწილებული მოგება არის მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ წარმოიქმნება სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

მოგების გადასახადი ხარჯად აღიარდება პარტნიორებზე დივიდენდის განაწილების გამოცხადების თარიღისთვის, ხოლო გადასახადის გადახდა, სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე, ხორციელდება პარტნიორებზე დივიდენდის განაწილების დროს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, გარდა განაწილებული მოგებისა არის სხვა დასაბეგრი ოპერაციები, რომლებიც მსს-ს ფასს-ის მიზნებისათვის ცალკე არ განიხილება მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად. შესაბამისად, აღნიშნული ცალკეული დასაბეგრი ოპერაციების მიხედვით გაანგარიშებული მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული სხვა ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც: (ა) იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმო ყველა ძირითად საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

კომპანია იყენებს ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდს. ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობა	5 %
მანქანა-დანადგარები	20 %
ოფისის აღჭურვილობა	20 %
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20 %
სატრანსპორტო საშუალებები	20 %
სხვა ძირითადი საშუალებები	15 %



თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება ცვეთის დარიცხვის კლებადი ნაშთის მეთოდით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივებისა განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფი) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.


ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის



ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახადები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, აქტივის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის ნამეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ უნდა აღიარდეს დაუყონებლივ, როგორც შემოსავალი. საწარმომ უნდა გადაავადოს ამგვარი ნამეტი თანხა და თანდათანობით განახორციელოს მისი ამორტიზება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები



საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ძირითადად ხორციელდება თვის ბოლო სამუშაო დღემდე.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალ ლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ეჭვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.



4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთი	დაუმთა- ბელი მშენებლო ბა	შენობები	მანქანა- დანად-ები	ლიზინგით მიღებული მანქანა- დანად-ები	ავიჯი და ოფისის აღჭუ-ბა	სატრანს-ო საშუალებე ბი	სხვა ძირ. საშუალებე ბი	სულ
01 იანვარი 2019 წ.	254374	290467	846080	828035	0	50897	110797	44287	2424938
შემოსვლა	0	0	0	19326		0	44322	4475	68123
გადაფასება									0
გასვლა							(28811)		(28811)
31 დეკემბერი 2019	254374	290467	846080	847361	0	50897	126308	48762	2464250
ცვტა / გაუფასურება									
01 იანვარი 2019 წ.			(255128)	(579127)	0	(23280)	(46349)	(12028)	(915911)
პერიოდის ცვტა			(29547)	(44879)	0	(2359)	(-3493))	(3284)	(76576)
გაუფასურება									
გასვლა									
31 დეკემბერი 2018			(284675)	(624006)		(25639)	(42855)	(15312)	(992487)
წმ. საბალანსო ღირ-ბა									
01 იანვარი 2019წ.	254374	290467	590952	248908	0	27617	64448	32259	1509027
31 დეკემბერი 2019 წ	254374	290467	561405	223355	0	25258	83453	33450	1471762

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: კლებადი ნაშთის მეთოდი
- კომპანიის მიერ აღებული საბანკო სესხის უზრუნველასყოფად არაიდენტიფიცირებადი მოძრავი ნივთი სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ დატვირთულია გირავნობით.
- მანქანა-დანადგარების კლასში განცალკევებულად არის გამჟღავნებული ლიზინგით აღებული მანქანა დანადგარების წმინდა საბალანსო ღირებულება.



• 5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019	01.01.2019
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	209431	26645
სულ	209431	26645

• 6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	2019	01.01.2018
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	583920	107157
გადახდილი ავანსები	-	0
მოთხოვნები ბიუჯეტის წინაშე	-	-
სულ	583920	107157

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2019	01.01.2019
ნედლეული და მასალები	229371	515105
მზა პროდუქცია	31055	29191
სხვა მარაგები	-	-
სულ	260426	544296

8. სესხები

გრძელვადიანი	2019	01.01.2018
საბანკო სესხები	658092	846913
სესხები ფიზიკური პირისგან	-	-
სესხები დაკავშირებული ფიზიკური პირისგან	-	-
	658092	846913



მოკლევადიანი		2019	01.01.2019
საბანკო სესხები სესხის მიმდინარე ნაწილი		-	0
სესხები ფიზიკური პირისგან		-	-
სესხები დაკავშირებული ფიზიკური პირისგან		-	0
სულ სესხები		658092	846913

9.სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2019	01.01.2019
სავაჭრო ვალდებულებები	-6562	122971
სულ	-6562	122971

10. ამონაგები

	2019
საქონლის რეალიზაცია	3541662
მომსახურების გაწევა	246102
სულ	3787764

11.სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2019
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	-77383
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	24245
სულ	(53158)

12. ფინანსური დანახარჯები

	2019
პროცენტი ბანკის სესხზე	(66097)



13. მოგება დაბეგვრამდე

დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას ხარჯად აღიარებულია შემდეგი მუხლები:

	2019
ხარჯად აღიარებული მარაგებისა და გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(1297858)
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი და მიწოდების დანახარჯები	(1483728)
სულ	(2781586)

14. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს სხვადასხვა ქონება რისთვისაც გათვალისწინებულია ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდა.

ჩვეულებრივ იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე წელს აღიარებულია ხარჯად:	2019
იჯარა	27025
სულ	27025

15. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 1 411 175 ლარს.

26. დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება.

	2019
შრომის ანაზღაურება მთლიანად	69019
სულ	69019

შპს „ევროსტილიXXI“-ს დირექტორი

ანტონი გრიგოლიშვილი

